ირინე ნაჭყებია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ლეიტენანტ ჟიულ პიშონის ცნობები საქართველოს შესახებ

1837-1838 წლებში ჰერათის დაპყრობის უშედეგო მცდელობის შემდეგ, 1838 წლის აგვისტოში მოჰამად შაჰმა (1834-1848) ლუი-ფილიპესთან (1830-1848) დიპლომატიური მისიით გაგზავნა ჰოსეინ ხანი, რომელმაც ირანში სპარსელი ოფიცრების მოსამზადებლად ფრანგი ინსტრუქტორების ჩაყვანა და 40,000 ფრანგული თოფის შესყიდვა ევალებოდა. საფრანგეთის მხარე ორივე წინადადებას დათანხმდა. 1839 წლის 29 სექტემბერს ესკადრონის მეთაურის, ანრი ბუასიეს ხელმძღვანელობით, ირანში ინფანტერიის, არტილერიისა და კავალერიის ათი ფრანგი ოფიცერი გაემგზავრა. კავალერიის ლეიტენანტი ჟიულ პიშონი და არტილერიის ლეიტენანტი ანრი დელაკრუა, რომლებიც მოჰამად შაჰის გვარდიას წვრთნიდნენ, შაჰმა 1841 წლის ივლისში ლომისა და მზის ორდენით დააჯილდოვა, რაც ფრანგულ გაზეთში, „La Phalange"-ში, 1841 წლის 19 სექტემბერს დაიბეჭდა. ფრანგმა ლეიტენანტებმა ირანიდან წასვლა 1842 წლის მაისში ითხოვეს[1], მაგრამ იქიდან მხოლოდ 1843 წელს გამოემგზავრნენ[2].

1843 წლის 30 ნოემბერს „Journal des débats" იუწყებოდა, რომ საფრანგეთის მთავრობის მიერ სპარსეთის შაჰის ჯარების გასაწვრთნელად გაგზავნილი ოფიცრები, ბატონები პიშონი და დელაკრუა, გრძელი და დამღლელი მოგზაურობის შემდეგ ახლახან ჩავიდნენ პარიზში საქართველოს, სამეგრელოსა და იმერეთის გავლით[3]. ლეიტენანტმა პიშონმა თავის თანამგზავრებთან ერთად მარშრუტი ჯულფადან რედუტ-ყალემდე 1843 წლის ზაფხულში გაიარა. ამგვარად, ფრანგი ლეიტენანტები საქართველოში გენერალ ალექსანდრე ნეიდგარდტის[4] მმართველობის დროს ჩავიდნენ.

ლეიტენანტ პიშონის „ჩანაწერები სპარსეთზე. ზოგიერთი მოსაზრება კავკასიის არმიის შესახებ, კავკასიის ჯაჭვის სამხრეთით მდებარე რუსული პროვინციების მიმოხილვა" (*Notes sur la Perse, quelques considérations sur l'armée du Caucase, aperçu des provinces russes au sud de la chaîne du Caucase*) დაცულია საფრანგეთში, ვენსენის სამხედრო არქივში, საერთო სათაურით „XIX საუკუნეში კავკასიასთან დაკავშირებული დოკუმენტების ინვენტარიზაცია, მოგონებები და დაზვერვა"[5],

---

[1] Journal d'une mission militaire en Perse 1839-1840, par le lieutenant Jules Pichon. Communication de M. Camille Couderc. Paris, éditeur: L. Gougy, 1900, 8.

[2] Florence Hellot-Bellier, France – Iran, quatre cents ans de dialogue. Avec le concours de L'UMR 7528 « Mondes iranien et indien ». Studia Iranica. Cahier 34. Associations pour l'avancement des études iraniennes, Paris: Peeters Press, 2007, 510, 512.

[3] Journal des débats politiques et littéraires, 30.11.1843.

[4] ალექსანდრე ივანეს ძე ნეიდგარდტი (1784-1845) – რუსეთის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს მთავარმართებელი 1842-1844 წლებში. იმპერატორის ბრძანების თანახმად, ომის დროს მას მკაცრად თავდაცვითი სისტემა უნდა გამოეყენებინა, მაგრამ შამილის გავლენის გაძლიერების გამო მას შეტევითი მოქმედებების წარმოება მოსთხოვეს. შამილი წარმატებას წარმატებაზე აღწევდა, ამიტომაც ნეიდგარდტმა გადადგომა ითხოვა, რაც დაკმაყოფილდა კიდეც (საქართველოს ისტორია – XIX საუკუნე, რედაქტორები ვახტანგ გურული და ბონდო კუპატაძე, „არტანუჯი", თბილისი, 2004, გვ. 15-16).

[5] Inventaire des documents relatifs au Caucase au XIXe siècle dans les archives du SHAT, Série M : Dépôt de la guerre, sous-série 1 M : Mémoires et reconnaissances.

რომელშიც შეტანილია ყირიმის ომთან (1853-1856) დაკავშირებული ოთხმოცამდე მოხსენებითი ბარათი.

აღნიშნული ხელნაწერის გარეკანზე მითითებულია ავტორის გვარი, სამხედრო წოდება და სამხედრო სამსახური – ლეიტენანტი პიშონი (le lieutenant Pichon), უცხოური ლეგიონის პირველი პოლკი (1er régiment de la légion étrangère). დოკუმენტის თარიღად აღნიშნულია– 1852 წლის 9 აგვისტო, ალჟირი, სედი ბელ აბესი[6]. ნიშანდობლივია, რომ ეს თარიღი 9 თვით უსწრებდა ყირიმის ომის დასაწყისს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს და მრავალი სხვა მოხსენებითი ბარათი ხელახლა სწორედ ყირიმის ომის სავარაუდო დაწყებამდე გაიხსენეს და არქივის კატალოგში ამ ახალი თარიღით შეიტანეს[7].

ლეიტენანტი პიშონი გვაწვდის ცნობებს თბილისიდან რედუტ-ყალემდე გავლილი მარშრუტის, კერძოდ, ამ მხარეების ფიზიკური გეოგრაფიის, ჰავის, მდინარეთა ქსელის, გზების, ხიდების, დასახლებული პუნქტების – თბილისის, გორის, ქუთაისის, რედუტ-ყალესა და გზად განლაგებული სამხედრო ნაწილების შესახებ. საგანგებო ყურადღება ეთმობა კავკასიაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებების შეფასებას.

მოგვყავს ლეიტენანტ პიშონის „ჩანაწერების...“ ქართული თარგმანი.

***

თბილისი საქართველოს დედაქალაქია, მისი მოსახლეობა 40,000 სულია. ის მთელი კავკასიის გენერალ-გუბერნატორის რეზიდენცია და ამ ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქია; მისი ვაჭრობაც მნიშვნელოვანია; ქალაქის დიდი ნაწილი გაშენებულია მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. აღმოსავლური კოლორიტი, რომელიც ყველა აქაურ ქალაქში შეიმჩნევა, აქ თითქმის არ იგრძნობა. ყაზარმების შენობები ლამაზია და ყურადღებას იქცევს; დროშკები (რუსული ეტლები – P.) მთელ ქალაქში დღისით და ნაწილობრივ ღამის განმავლობაშიც დაქრიან, აქ განუწყვეტლივ მოძრაობს ჭრელი მოსახლეობა, მათ შორის არიან რუსი, ქართველი, ჩერქეზი, სომეხი, სპარსელი, თურქი და სხვ. ნეგოციანტები, რომლებიც იმპორტსა და ექსპორტს რუსეთის, ინდოეთისა და თურქეთის მიმართულების აწარმოებენ.

თბილისის შესანიშნავი ბაზრები, ლამაზი შენობებით გარშემორტყმული და თავისი იერსახით აღსანიშნავი საზოგადოებრივი მოედანი – ყოველივე ეს ევროპულ ყოფას გახსენებს, რაც პირველად ვიხილე დიდი ხნის შემდეგ[8]. შემოგარენში არის ჩინებულად დამუშავებული ნაყოფიერი მიწები; იქ უამრავი კოტეჯია, სადაც გთავაზობენ ცხოვრებისთვის საჭირო ყოველგვარ კომფორტს.

რუსეთის მიერ ამ მხარეების ოკუპაციის პირველ წლებში ქალაქის გარშემო 4-5 ლიეს [18-22,5 კმ] რადიუსში გერმანული კოლონიები დააარსეს, რომლებსაც დასამუშავებლად შესანიშნავი მიწები და წარმატებისთვის საჭირო აუცილებელი პირობები შეუქმნეს.

---

[6] N 79, Pièce 43/1673 : *Mémoire sur la Perse*, par le lieutenant Pichon, daté de Sidi Bel Abbès, le 9 août 1852.

[7] N 80, Pièce 44/1673 : *Notes sur la Perse, quelques considérations sur l'armée du Caucase, aperçu des provinces russes au sud de la chaîne du Caucase*, par le sous-lieutenant Pichon, Sidi Bel Abess, non daté.

[8] ლეიტენანტ პიშონის ეს მოსაზრება ძლიერ ჰგავს ნაპოლეონის დიდი არმიის ოფიცრის, ლეიტენანტ ტრეზელის ცნობას, რომელმაც 1809 წელს, 35 წლით ადრე აგრეთვე მიაქცია ყურადღება თბილისში რუსეთის ჯარის მდგომარეობას და ქალაქში არსებული ევროპული იერსახის ნიშნებს (Château de Vincennes, Service historique de l'Armée de Terre (Shat). Notice sur la Géorgie, 31.05.1809, 1M n°1486, doc. 13, fol. 12, 32).

საქართველოს დედაქალაქში არის თერმული წყლები, მეტად სასარგებლო და სასიკეთო იმ მრავალი დაავადების სამკურნალოდ, რომლებიც ომით დაღლილობის უშუალო შედეგია, განსაკუთრებით ისეთ არაჯანსაღ და ნესტიან მხარეში, როგორიც ჯარის მიერ ოკუპირებული კავკასიაა.

თბილისის გარნიზონში ჩვეულებრივ დაახლოებით 10,000 კაცია; მტკვრის მარცხენა ნაპირზე, რომელსაც პატარა ნავით მიუყვები ქალაქის ცენტრში მდებარე ქვის ხიდისკენ, რამდენიმე სახლი, ბევრი ძველი შენობა და ამჟამად აღდგენილი ძველი ციხესიმაგრეა, რომლის ყოველ ამბრაზურაში ზარბაზანი დგას. სამხედრო შეიარაღების ერთი ნაწილიც სწორედ იქ არის თავმოყრილი.

გზა თბილისიდან გორამდე, რომელიც აგრეთვე მტკვრის ნაპირზე მდებარეობს, მუდამ დასავლეთის მიმართულებას მიჰყვება. ეს გზა განსხვავდება ადრე გავლილი მხარეებისგან; აქ მხოლოდ ოდნავ დანაწევრებულ დაბლობებს ან შესანიშნავ ტყეებს ვხედავთ, ზოგჯერ ეს მტკვრის შენაკადებია, რომლებიც ამ მხარეს რწყავენ; სხვა დროს ეს თავნება მტკვარია, რომელიც თავისი კალაპოტიდან თვალის დახამხამებაში გადმოდის დაბლობზე და მაშინვე უკან ბრუნდება.

იქ შეამჩნევ რამდენიმე სოფელს, რომელთა გარშემო მიწა ნაყოფიერია და კარგ მოსავალს აძლევს; ამ გზაზე და უფრო შორსაც, სადამდეც თვალი გასწვდა, დაუმუშავებელი მიწა არ დამინახავს. პატარა ქალაქი გორი უსწორმასწოროდ არის აშენებული, ქუჩები არ არის, მოსახლეობა დაახლოებით 3,000 სულია, მისი გარნიზონი ერთი ბატალიონისგან შედგება. იქ ძირითადად იმერლები ცხოვრობენ[9].

გორიდან გასვლისას ქუთაისისკენ მიმავალი ბილიკები არც თუ მოხერხებული სავალია, მიწის დიდი ფართობი წყლითაა დაფარული, რადგან საკმაოდ ძლიერი შენაკადი[10], რომელიც ამ ადგილზე ერთვის მტკვარს (მარცხენა ნაპირს – P.) და სამ ტოტად იყოფა[11], დიდ სირთულეს ქმნის წვიმიან თვეებში, განსაკუთრებით კი თოვლის დნობის დროს; ეს ზოგჯერ კურიერებსაც კი აიძულებს გაჩერებას და ერთი კვირის განმავლობაში ურმებიც ვერ მოძრაობენ. ამ ქალაქიდან ქუთაისამდე მხოლოდ ღრმა ხევებს, ვიწრო ხეობებსა და ხეებით დაფარულ მხარეს დაინახავ; სოფლები იშვიათია; გორიდან ორი დღის სავალზე გზად მდინარე რიონის შენაკადს შეხვდები; ამ ადგილზე ის ღრმაა და მასზე ფონით გადახვალ; ამ მხარეში გზების შესაკეთებლად მუდმივად მიმდინარე სამუშაოების მიუხედავად, ისინი ხშირად ძნელი სავალია. საგუშაგოები იქ ერთმანეთთან უფრო ახლოს არის განლაგებული.

ქუთაისი, იმერეთის დედაქალაქი, დიდი, მაგრამ მეჩხერად დასახლებული ქალაქია. მიუხედავად ამისა, მისი მოსახლეობა 2,000 სულია, იქ მრავალი ახალი ნაგებობაა; რიონი, რომელიც კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე მიედინება, კვეთს ამ ქალაქს, სადაც ცხოვრობს ბევრი იმერელი, ქართველი და დამორჩილებული ჩერქეზი; იქ არის აგურით ნაგები შესანიშნავი საავადმყოფო და მონასტერი, რომელშიც ფრანგი და იტალიელი ბერები მსახურობენ; ზოგადად, ამ ქალაქის იერსახე მოსაწყენია, მე ვნახე ბაზარი, სადაც არ ჩანდა აქტიური ვაჭრობა, მის გარნიზონში დაახლოებით 2,000 კაცია; საფოსტო სადგურების მუშაობა და ეტლების მოძრაობა სწორედ ამ ქალაქში წყდება.

---

[9] ლეიტენანტი პიშონი უზუსტობას უშვებს. გორი შიდა ქართლის ქალაქია და იქ ძირითადად ქართლელები ცხოვრობენ.

[10] იგულისხმება ლიახვი.

[11] მტკვრის მარცხენა შენაკადები, რომლებიც თრიალეთის ქედიდან მოედინება, ბევრად პატარაა.

ქუთაისიდან გასვლის შემდეგ რიონზე ხის ხიდით გადახვალ და ჭაობიანი, სრულიად უღრანი ტყეების მხარეში მოხვდები; ამგვარად, სამხრეთის მიმართულებით ვიარეთ რიონის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფლამდე მისაღწევად[12]; ამ სოფელში, რომელიც ერთმანეთზე დადებული ხის მორებითაა აშენებული, იმერლები ცხოვრობენ და მათ რამდენიმე პიროგა[13] ჰყავთ. რამდენიმე დღის განმავლობაში სწორედ ამ ნავებით დავეშვით რიონზე; წინ ნელა მივიწევდით, რადგან მდინარის დინება მდორე იყო და მას ჩვენი თანმხლები ერთ-ერთი იმერლის ნიჩბების მოსმის მიმართულებით მივყვებოდით.

რიონის სიგანე 70 მ-დან 80 მ-მდეა და როგორც წესი, ძალიან ღრმაა, დინება კი როგორც უკვე ვთქვი, მდორეა და შეიძლება იფიქრო, რომ ზოგ ადგილზე საერთოდ უძრავია. მის ნაპირებზე ტირიფი და სხვადასხვა ბუჩქი იზრდება, რომლებიც სქელ თაღს ქმნიან, ნავები კი მათ ქვეშ მიცურავენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მზის სხივები ძალიან მწველია. არაფერია იმაზე მშვენიერი, ვიდრე რიონი, მისი ტყიანი ნაპირები და ასწლოვანი ხეები, რომლებსაც ვაზი ეხვევა და ყველგან ერთსა და იმავე სიმდიდრეს გთავაზობს; აქ ვერც საცხოვრებელს ნახავთ და ვერც მოსახლეს; აქ სრული სიჩუმეა, რომელსაც ნაპირზე შეკრებილი გარეული ფრინველების გუნდები არღვევენ ან ადამიანის დანახვით შეშინებული ირმები და გაზელები, რომლებიც ტყის სიღრმეში გარბიან. რიონზე დიდი ხნის მოგზაურობის შემდეგ ჩვენგან მარჯვნივ ჩალით დაფარული პატარა ქოხი დავინახეთ და მისკენ გავცურეთ, მაგრამ იმედგაცრუება გველოდა, რადგან ჩვენ მიახლოებაზე მცხოვრებლებმა უკანმოუხედავად მოკურცხლეს; ჩვენმა თხოვნა-მუდარამ, რომ თავიანთ პენატებს[14] დაბრუნებოდნენ, გაამართლა და მათგან რამდენიმე ვერცხლის ფასად ღვინო, სიმინდის ფქვილი და რამდენიმე ქათამი ვიყიდეთ. ეს ქოხი ერთადერთი არ იყო; ჩვენი თანმხლები იმერლებისგან შევიტყეთ, რომ აქედან ერთ ლიეზე [4,5 კმ], რიონის პატარა შენაკადთან ხუთი თუ ექვსი ქოხი იყო.

რიონის შესართავიდან დაახლოებით 8 ლიეზე [36 კმ], მარჯვენა ნაპირზე, ძალიან ვიწრო დინებაა, რომელშიც ჩვენი პიროგით შევცურეთ; ტოტები ისე მჭიდროდ გვფარავდნენ, რომ მზის სხივებისგან დასაცავად ჩვენ მიერ გაკეთებული მოწყობილობა აქ სრულიად უსარგებლო იყო და ჩვენ ის მოვხსენით. პატარა არხის ნაპირებზე მაღალი ხეები ზოგან მოხრილი იყო და უამრავ ხიდს ქმნიდნენ. ჩვენი პიროგის გარშემო სხვადასხვა ბუმბულით შემოსილი ჩიტები დაფრინავდნენ, უფრო შორს კი ვხედავდით, თუ როგორ გარბოდნენ შეშინებული ირმები და გაზელები. ეს არხი ჩაედინება დიდ ტბაში, რომლის გადაცურვის შემდეგ ის ხელახლა ჩნდებოდა და განუწყვეტლივ გიხმობდა, რომ კიდევ შეგეხედა. იმერლები მას მდინარე ციას (Tci)[15] უწოდებენ; ის შავ ზღვაზე მდებარე რუსულ ნავსადგურ რედუტ-ყალემდე[16] მიედინება, მაგრამ ზღვასთან შერთვის ნაცვლად მდინარეს მარცხენა მხარეს

---

[12] ჩვენი აზრით, ეს ადგილი თანამედროვე სოფლების პატრიკეთის, ტყაჩირის ან ოფშკვითის მონაკვეთს უნდა გულისხმობდეს.

[13] პიროგა – იგულისხმება ინდიელების პიროგას მსგავსი ნავი, როგორსაც დასავლეთ საქართველოში ხის მთლიანი მორისგან აკეთებდნენ.

[14] პენატები (ლათ. dī penātēs) – ძველ რომაულ მითოლოგიაში ოთახისა და კერის, შემდეგ კი მთელი რომაელი ხალხის მფარველი ღმერთები. აქ: მშობლიური კერა.

[15] მდინარე ცივა უერთდება მდინარე ხობისწყალს, შავი ზღვის შესართავთან, მარცხენა მხრიდან. მაგრამ თვითონ მდინარე ცივას უერთდება მდინარე ცია, რომელიც დღეს ხელოვნურ კალაპოტშია მოქცეული.

[16] ტექსტში: Roudont-Kalé.

უერთდება, რომელიც თავის სათავეს კავკასიონზე იღებს და შესართავი რედუტ-ყალეში აქვს.

რედუტ-ყალე, რომელშიც 3,000 კაციანი გარნიზონი დგას და 1,000 სული ცხოვრობს, პატარა ქალაქია, სადაც ქოხები ხიმინჯებზე დგას. – კავკასიის არმია შედგება 140,000 კაცისგან, რომლებიც დაბრუნდნენ ქალაქებსა და ბანაკში, სადაც მობილურ კოლონებს ქმნიან; ისეთი შეუპოვარი და მარჯვე მებრძოლების პირისპირ, როგორებიც ჩერქეზები და დაღესტნელი გლეხები არიან, მან სიფხიზლე უნდა გააორმაგოს; ამიტომ იქ სამსახური ძალიან რთულია, ავადმყოფობები კი ხშირად სასიკვდილოა. ეს არის მუდმივი გადაადგილება და კონტრმარში[17], ექსპედიციის დროს კი მათთვის არც ზაფხულშია დასვენება და არც ზამთარში.

სხვა ნაწილები სამხედრო მშენებლობით არიან დაკავებულები, მათ ან ახალი გზები გაჰყავთ, ან ძველი გზების შეკეთებით არიან დაკავებულები. კავკასიის არმიას აუძლურებს განუწყვეტელი შრომა, ადგილობრივი დაავადებები და ომით დაღლა. – როდესაც ახალი ექსპედიცია იწყება და რუსები შეტევაზე გადადიან, მთელი ჯარი სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობს, თუმცა მათი ერთადერთი მიზანი დივერსიის მოწყობაა, ამ მანევრებს ხშირად მოჰყვება მათი გეგმების სრული წარმატება. მაგრამ მთის არწივების მსგავსი ჩერქეზი გუშაგები მათ მალევე ამჩნევენ; შამილი და მისი ხალხი მათ დასახვედრად ჩამოდის და სასტიკ ბრძოლებში რუსეთის ჯარს იშვიათად აქვს უპირატესობა, რადგან ამ მამაცმა და საზრიანმა მეთაურმა იცის როგორც ბრძოლის მიდამოს შერჩევა, ისე მასში დროულად ჩართვა.

რუსების კოლონები ყველა მიმართულებით უდიდესი წესრიგით იშლება, მაგრამ მთიელი ჩერქეზები მათ ყოველთვის კვალში უდგანან. ყველზე ხშირად ომის ასპარეზი სწორედ კავკასიონის ამ უკიდურეს განშტოებებზეა; შეუძლებელია ამ ხალხის მათივე მთებში მოხელთება ამ მთების სირთულის გამო, რაც რუსებს აღნიშნული საზღვრის გადალახვის საშუალებას არ აძლევს.

თბილისში ჩემ ჩასვლამდე სამი წლით ადრე, 4,000 კაციან კოლონას, რომელსაც დაზვერვა ევალებოდა, ამ მაღალი მთების სიღრმეში შეღწევა ბილიკებით სურდა; ეს ბრიგადა თითქმის მთლიანად განადგურდა. ხალხის წიაღიდან გამოსული კაცი, შამილი, რომელიც იშვიათი შეუპოვრობით გამოირჩევა, განუწყვეტლივ ხელმძღვანელობს ყველა თავდასხმას და თავდაცვას.

1842 წელს, ბატონი ნეიდგარდტის გუბერნატორობის დროს, ჩერქეზების უფრო ადვილად დამორჩილების იმედით, რუსეთი არ გადავიდა შეტევაზე და ამგვარად გაიარა გაზაფხულმა, მაგრამ შემოდგომაზე მთის ეს დამოუკიდებელი ხალხი ცალკეულ საგუშაგოებსა და ბანაკებს დაესხა; ხშირად ხდებოდა სერიოზული შეტაკებები და დანაკარგი ორივე მხარეს ჰქონდა.

მაგრამ ჩერქეზებს კვლავინდებურად არ გააჩნიათ კარგი მმართველობა და მკაცრი დისციპლინა, ამიტომ ამ მთიელებს შორის ხშირია უთანხმოება; ამ ვითარებაში, რომელიც მათ ემუქრებათ, ისინი ბევრად უფრო ძლიერები იქნებოდნენ, თუ შეძლებდნენ ერთმანეთთან შეთანხმებას, რადგან მათ ყველა აუცილებელი საშუალება აქვთ ხანგრძლივი თავდაცვისთვის; ეს არის მაღალი და ძლიერი აღნაგობის მქონე მრავალრიცხოვანი მოსახლეობა, მათი გამბედაობა დაუძლეველია; მათ აქვთ სხვადასხვა არსენალი, დენთის საწარმოები და ჰყავთ კარგი მეთაურები, რომლებიც მათ თავდაცვაში ეხმარებიან. ამასთან, მათ აქვთ ყველაფერი, რაც

[17] კონტრმარში – მარშ-მანევრი, რომელსაც მიმართავენ მოწინააღმდეგის მარშ-მანევრის სალიკვიდაციოდ.

აუცილებელია მთაში საცხოვრებლად და ამიტომ ისინი საგარეო ვაჭრობის გარეშეც გაძლებენ.

ასეთ მტრებთან რუსეთი დიდხანს ვერ დაასრულებს ომს, რომელიც მას მეტად ძვირად უჯდება როგორც ადამიანების, ისე ფულის თვალსაზრისით[18]; მას კი პირიქით, განა არ უნდა ეშინოდეს შიდა კრიტიკული და რთული ვითარებისა, როდესაც რევოლუციების დრო დადგება, ან ევროპული კონფლიქტის შემთხვევაში მისი იარაღი სხვა ადგილას იქნება საჭირო? განა მას არ უნდა ეშინოდეს, – ვამბობ მე, – რომ სპარსეთი დაიძვრება მისი საზღვრებისკენ, მის მიერ წართმეული მშვენიერი პროვინციების დასაპყრობად და ამგვარად კავშირს შეკრავს ჩერქეზებთან, რათა კავკასიაში მებრძოლი რუსეთის არმია ორ ცეცხლს შორის მოაქციოს?

თუ თავის ძალებში დარწმუნებულ რუსეთს ასეთი აზრი არ მოსდის, ჩერქეზებსა და სპარსელებს ის აქვთ; ზოგისთვის ეს დაპყრობისა და დამოკიდებულების მოტივია, სხვებისთვის კი მტანჯველი უღლის გადაგდების მიზანი.

როგორც უკვე ვთქვი, რუსების ეს სამფლობელოები მოიცავს (გარდა არმენიისა – P.) ნესტიან და დიდი რაოდენობით დატბორილ და ჭაობიან ადგილებს და სწორედ ასეთ მიწაზე მანევრირებენ კავკასიის ჯარები; ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ამ ომმა მრავალი დაავადება გამოიწვია.

რუსეთი ამ მხარეებში ყოველწლიურად 16,000-დან 20,000-მდე კაცს კარგავს როგორც ჩერქეზებთან ომის, ისე ადგილობრივი დაავადებების გამო. ეს ჯარები ძირითადად კარგ მდგომარეობაშია, განსაკუთრებით თბილისში, მაგრამ ისინი ნამდვილად არ შეადგენენ რუსეთის ჯარის ელიტას[19].

დამოწმებული წყაროები დალიტერატურა

საქართველოს ისტორია – XIX საუკუნე, რედაქტორები ვახტანგ გურული და ბონდო კუპატაძე, „არტანუჯი“, თბილისი, 2004.

Hellot-Bellier, Florence. France – Iran, quatre cents ans de dialogue. Avec le concours de L'UMR 7528 « Mondes iranien et indien ». Studia Iranica. Cahier 34. Associations pour l'avancement des études iraniennes, Paris: Peeters Press, 2007.

Journal des débats politiques et littéraires, 30.11.1843.

[Pichon] Journal d'une mission militaire en Perse 1839-1840, par le lieutenant Jules Pichon. Communication de M. Camille Couderc. Paris, éditeur: L. Gougy, 1900.

Château de Vincennes, Service historique de l'Armée de Terre (Shat). *Notice sur la Géorgie*, par le lieutenant Trézel, 31.05.1809, 1M n°1486, doc. 13, fol. 1-76.

Château de Vincennes, Service historique de l'Armée de Terre (Shat). Pièce 43/1673 : *Mémoire sur la Perse*, par le lieutenant Pichon, daté de Sidi Bel Abbès, le 9 août 1852.

[18] ლეიტენანტ ტრეზელის „ჩანაწერებშიც“, ნათლად ჩანს რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი კავკასიელი მებრძოლების ძალა და შემართება (Shat, Notice sur la Géorgie, 31.05.1809, 1M n°1486, doc. 13, fol. 49-50, 69-70).

[19] Shat, Perse 1807-1857, 1M, n°1673, cachier 43.